თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №22

13 აპრილი, 2018 წელი

ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ზე მეტი ღირებულების გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.გ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ.ბ" და „გ.ვ." ქვეპუნქტების საფუძველზე

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში მისასვლელი გზის მოწყობა-რეაბილიტაციის, ქ. თეთრიწყაროს დუმბაძის ქუჩის (ჩიხებით), დუმბაძის ქუჩის I ჩიხის და ჯავახიშვილის ქუჩის (ჩიხებით) მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულება) გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ შ.პ.ს „როუდ სოლუშენს"-თან გააფორმოს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საერთო ღირებულება - 766 552 (შვიდას სამოცდაექვსი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი) ლარის და 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) თეთრი, აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს.

მუხლი 2.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე